სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა არჩევის წესი (პროცედურა)

1. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, როგორც წესი, ღია კენჭისყრის საფუძველზე ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს დირექტორს, რომელიც, თავის მხრივ, შედეგებს წარუდგენს თსუ ადმინისტრაციას. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე არჩეული პირი ითვლება არჩეულად უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ძირითადი და დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში 7 წლის ვადით, ვადიანი მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ძირითადი და დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში - 10 წლის ვადით, ხოლო უვადო მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ძირითადი და დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში - უვადოდ.

2. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო თავის სხდომაზე განიხილავს სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის მსურველთა განცხადებებსა და მათზე დართულ დოკუმენტაციას და ნიშნავს კენჭისყრის დღეს.

3. ღია კენჭისყრა სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა ასარჩევად ტარდება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე კენჭისყრისათვის განსაზღვრულ დღეს 14^{00}-დან 16^{00} სთ-მდე.

4. საჭიროების შემთხვევაში შერჩევის პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით ღია კენჭისყრის დაწყებამდე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო ღია კენჭისყრით საბჭოს წევრთაგან ირჩევს ხმის დამთვლელ კომისიას არანაკლებ 3 (სამი) და არაუმეტეს 5 (ხუთი) წევრის შემადგენლობით. ხმის დამთვლელი კომისიის წევრების შერჩევის შემდეგ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრს უფლება აქვს, ხმა მისცეს სასურველ კანდიდატს.

5. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი უფლებამოსილია, ხმა მისცეს კონკრეტული განყოფილების გამგეობის მხოლოდ ერთ კანდიდატს.

6. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელად არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც ხმა მისცა საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა. თუ ვერცერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმების საკმარისი რაოდენობა, იმავე დღეს (ჩატარების დრო დგინდება სამეცნიერო საბჭოს მიერ) გაიმართება განმეორებითი (დამატებითი) კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობას იღებს ორი საუკეთესო შედეგის მქონე პირი. დამატებითი კენჭისყრის შედეგად არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც ხმა მისცა საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა. იმ შემთხვევაში, თუ დამატებითი კენჭისყრის შედეგადაც ვერცერთმა პირმა ვერ მიიღო სამეცნიერო საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა, სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის არჩევის პროცედურა ცხადდება და ტარდება ხელახლა, მოქმედი კანონდებლობისა და წინამდებარე წესის მოთხოვნათა დაცვით.

7. კენჭისყრის სხდომის დაწყებიდან საბოლოო შედეგების გამოვლენამდე ხმის დამთვლელი კომისიის საქმიანობა ხორციელდება სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე საბჭოს წევრთა თანდასწრებით.

8. ხმის დამთვლელი კომისია უფლებამოსილია მიიღოს კენჭისყრის პროცედურებთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილება წინამდებარე წესით განსაზღვრულ ფარგლებში.

9. არჩევის პროცედურის შედეგები ცხადდება სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ხმის დათვლის პროცედურის დასრულების შემდგომ და სხვა აუცილებელ ინფორმაციასთან ერთად შეიტანება სხდომის ოქმში. სხდომის ოქმის შინაარსი გაეცნობა საბჭოს წევრებს და მას ხელს აწერენ სამეცნიერო საბჭოს (საბჭოს სხდომის) თავმჯდომარე და მდივანი. სხდომის ოქმი, რომელშიც ასახულია ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა არჩევის შედეგები, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის წერილით ეგზავნება ინსტიტუტის დირექტორს დასამტკიცებლად.

10. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის არჩევის შედეგები შესაძლებელია გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს სასამართლოში.